№ 204 სექტემბერი 30, პარასკევი 1888 სექტემბერი 30, პარასკევი № 204


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ტფილისი, 28 სექტემბერი

ოთხშაბათს, 28-ს სექტემბერს, თავად-აზნაურობას ეღირსა ბედნიერება და წარსდგა სასახლეში მათთა უდიდებულესობათა წინაშე. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მოახსენა შემდეგი სიტყვა:

„ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ!

ძველად-ძველს დედა-ქალაქს ივერიისას მე მეღირსა ბედნიერება თქვენს იმპერატორებითს დიდებულებას ფეხთა წინაშე დავუგო ერთგულ-ქვემევრდომული სიყვარული უსაზღვროდ თქვენდამი თავ-დადებულისა და ერთგულის საქართველოს თავად-აზნაურობისა.

დიდებულო ხელმწიფევ! მეფეთა ერთგულება ანდერძია მემკვიდრეობით გადმოცემული ჩვენთა მამა-პაპათაგან, რომელთ არა ერთხელ უჩვენებიათ მაგალითი თავგანწირულის ერთგულებისა თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტახტისადმი.

„სარწმუნოებისა და მეფისათვისაო“ — ზედ სწერებია დროშას საქართველოს თავად-აზნაურობისას მის ისტორიულ ცხოვრების მრავალ საუკუნოების განმავლობაში. „სარწმუნოებისა და მეფისათვის“ იგი დღესაც მზად არის ერთის თქვენის ბძანებით თავი გაიწიროს სასახელოდ და სასიკვდილოდ.

მობძანება ჩვენს ქვეყანაში თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისა — ეგ ბედნიერება, რომელიც დღეს ჩვენ წილად გვხვდა — გვანახლებს ჩვენ სულით და ჰმოსავს ახალის ძალით უწმინდაესს კავშირს თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ტახტისასა და ჩვენის გულისას.

მობძანებამ-და თქვენმან, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფავ, მოგვანიჭა რა აქამომდე არ-ცნობილი ჩვენ მიერ სიხარული დედა-მეფის პირველ ხილვისა, აღავსო გულნი ჩვენნი ულრმესის მადლობითა იმ შეწუხებისათვის, რომელიც თქვენ იტვირთეთ ესოდენ შორეულ ქვეყანაში მობრძანებულად.

მადლიერ ერის გონებისაგან არასოდეს არ აღმოიხოცება ბრწყინვალე ხსენება თქვენის აქ მობძანებისა და ჩვენ შორის ყოფნისა.

ამ სადღესასწაულო დიდებულს დღეს ყოველი თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ერთგულ-ქვემევრდომი ქართველი, თქვენ მიერ გაბედნიერებულის კავკასიის დანარჩენ სხვათა მკვიდრთა თანა, სრულის გულით ვლოცავთ და გაკურთხებთ თქვენ.

თვითეული მათგანი, ჰხედავს რა თვის გვირგვინოსანს მბძანებელს, თავ-მოწონებულია და ამაყი მით, რომ შენ ხარ ხელმწიფე ჩვენი, შენთა ხელთ არის ჩვენი ძლიერება და ჩვენი ხსნა!“

ამაზე ხელმწიფე იმპერატორმა ბძანა: „მადლობელი ვარ, ბატონებო, გულითადის დახვედრისათვის. მე დიდად მოხარული ვარ, რომ დრო მომეცა მოვსულიყავ თქვენს ქვეყანაში იმპერატრიცითურთ. საქართველოს თავად-აზნაურობა ყოველთვის გამოჩენილი იყო ერთგულობითა და თავისის სისხლით აღბეჭდა თავისი ერთგულობა“.

გუშინ-წინ, 28 სექტემბერს, მას მერმედ, რაკი მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი სიონიდგან მიბძანდნენ მთავარ-მართებლის სასახლეში, გალავინის პროსპექტსა და სასახლის ქუჩაზედ ხალხისა და მაყურებელის ფეხი არ შეწყვეტილა. სასახლის მოაჯრის წინ, ტროტუარსა და მოედანზედ, იმოდენა აუარებელი ხალხი იდგა, რომ სწორედ ტევა არ იყო. მთელი ეს ამოდენა ზღვა-ხალხი შეჰყურებდა სასახლის ფანჯრებს და ჰნატრულობდა ხილვას ხელმწიფე იმპერატორისას, და მის უავგუსტოესის სახლობისას. ურას ძახილი განუწყვეტელი იყო და შორს გაისმოდა. ბოლოს თანდათან გათხელდა ხალხი, თავის სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდა, მაგრამ მაინც კიდევ ხსენებულ ქუჩებში ბლომად მოსჩანდა.

მოახლოვდა სალამო და აუარებელმა ხალხმა კვლავ დენა დაიწყო: ყველა მიესწრაფებოდა სასახლესთან. სალამოს შვიდ-რვა საათზედ სასახლის მოედანი და ქუჩა ისე გაივსო ხალხითა, რომ მთლად გაიჭედა გზა და არას ღონით არ შეიძლებოდა კაცს ეს ცოცხალი კედელი გაერღვია და ან აქედ და ან იქით მიმდგარიყო. ბინდი დაეცა ქალაქს თუ არა, ურიცხვი სხივი მშვენივრად გაჩაღებულის ჩირაღდნებისა ზედ მოეფინა. არ იყო მხარე, არ იყო მცირეოდენი კუთხე განუბრწყინვებელი, შუქ-მოუფენელი. ზეიდამ რომ გეყურებინათ, ეს ჩვენი ტფილისი ერთ უშველებელ ბადიასა ჰგვანდა, ფართოდ პირ-გადაშლილისა, და რაღაც ჯადოქ-ნაქმარობით აფრქევდა შუქსა და ნათელს მრავალ მილიონ ფერად სანთელთა და ჰრაქთაგან. მთელი გარემო მთები, მთა-წმინდა, მახათა, სოლოლაკის გორა, ლაპლაპებდა, თითქო ერთი განუწყვეტელი ნათელია გარშემო მოსხმული და მოქენთილიო. ჩვენი მთაწმინდა ჰღუოდა ცეცხლებითა და სინათლით მშვენივრად გადმოიცქირებოდა თავისის სიმაღლიდამ.

ხალხის მხიარულებას, სამხიარულო კიჟინას, ურას ძახილს, ხმაურობას, ჟღრიამულს ერთი ყოფა და ამბავი გაჰქონდა. ჩვენი ზურნა და დაფაც არ გამოჰკლებია ამ სადღესასწაულო მხიარულებას. ყოველ მხრიდამ მოისმოდა ზურნის მაღალი ძახილი და დაფის შეწყობილი ცემა. შუაღამის ორს-სამს საათამდე არ შეწყვეტილა ეს დიდი ყოფა და ამბავი. ბანკის ქარვასლის წინ ენთო თორმეტ საათამდე ელექტრონის მზე.

ხუთშაბათს, 29 სექტემბერს, დილით ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და უავგუსტოესნი ძენი მათნი ამალით წაბძანდნენ დიდუბეს, სადაც ტფილისში მყოფი ჯარი უნდა ყოფილიყო უმაღლესად გასინჯული. აქ ყვავილებითა და მწვანით მორთული პავილიონია გაკეთებული. ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა მობძანდნენ ეტლით. ჯარის მახლობლად ხელმწიფე იმპერატორს მოართვეს ცხენი. მისი უდიდებულესობა, აგრეთვე მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე ცხენებზედ შებძანდნენ და მიიდნენ ჯართან. ხელმწიფე იმპერატრიცა ეტლით გვერდით მისდევდა მის უდიდებულესობას. მცირე ხანს შემდეგ ხელმწიფე იმპერატრიცა მობძანდა პავილიონთან, გადმობძანდა ეტლიდამ და შევიდა პავილიონს. აქ შესავალში იდგნენ ორნი თავადიშვილნი საპატიო ყარაულისანი. როგორც შიგნით პავილიონში, ისეც გარედ ირგვლივ იყვნენ მორიგებულნი თავად-აზნაურთა საპატიო ყარაულის წევრნი.

ხელმწიფე იმპერატრიცას მიეგება პავილიონში კორპუსის კომანდირის მეუღლე კნ. მ. დ. ჭავჭავაძისა და მხედრობის სახელით მიართვა ყვავილების კონა. ხელმწიფე იმპერატრიცამ მოწყალება მოიღო და კარგა ხანს ესაუბრა კნეინა ჭავჭავაძისას. ჯარებმა ჩაიარეს საცერემონიო მარშით მათთა უდიდებულესობათა წინაშე და ეღირსნენ უმაღლესს მადლობას. ხელმწიფე იმპერატორმაც ჯარების ნახვის შემდეგ კეთილ ინება მიბძანება პავილიონში.

ჯარის დათვალიერების შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ეტლით მუშტაიდისა და მიხეილის ქუჩით წაბრძანდნენ 1-ლ კლასიკურს გიმნაზიაში, სადაც თავ-მოყრილნი იყვნენ მე-2 კლასიკურისა და რეალურის გიმნაზიის მოსწავლენი. გიმნაზიის დარბაზი მშვენივრად იყო მორთული. მათ უდიდებულესობათა შებძანებისათანავე დარბაზში გიმნაზიის მოსწავლეთაგან შედგენილმა მუსიკამ დაუკრა რუსული საერო ჰიმნი. ამას შემდეგ მოსწავლემ ერისთავმა წაიკითხა თავის მიერ შეთხზული ლექსი მათ უდიდებულესობათა მობრძანების შესახებ. მერე პაწია მოსწავლეს გიმნაზიისას ოპოჩინინს ბედნიერება ჰქონდა მიერთმია ხელმწიფე იმპერატრიცასათვის ყვავილების კონა. კონის მირთმევის დროს ოპოჩინინმა მტკიცედ და გარკვეულის ხმით სთქვა: „მოიღეთ მოწყალება, თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, და მიიღეთ ეს კონა ჩვენის გიმნაზიისაგან“. ამას მერე გიმნაზიისავე მოწაფემ გლობამ წაიკითხა თავისი საკუთარი ლექსი. შემდეგ, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით, მუსიკამ მარში დაუკრა. საზოგადო დარბაზიდგან მათნი უდიდებულესობანი შებძანდნენ სამხატვრო დარბაზში და დაათვალიერეს მოსწავლეთა ნამუშევარი. იქვე მიართვეს მემკვიდრე ცესარევიჩსა და დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს კავკასიის ზოგიერთ ადგილების ფოტოგრაფიულ სურათების თითო ალბომი, ნამოქმედარი ფიზიკის მასწავლებელ ბ-ნის კაზიულკინის მიერ. შემდეგ გიმ-

# ფელეტონი

## როგორ ათხოვებენ ქალს ბარის ოსეთში.

როცა ბარის ოსი საცოლო შეიქმნება, უფროსები ნებას აძლევენ ცოლის შერთვისას. ვაჟი წინაპირველადვე აირჩევს ორს ამხანაგს თავისს ტოლბიჭებს მეჯვარეებად დაჰამათ გამოუცხადებს თავისს გულის წადილს. თუ რომ თავისსავე სოფელში აღმოუჩნდა ვინმე საცოლო, ხომ კარგი, ადვილია, თუ სხვა სოფელში ეგულებათ საცოლო, მაშინ შეურჩევენ დღესასწაულს და ვაჟი თავისის მეჯვარითურთ წავა დღეობაზე იმ სოფელში. მისვლისათანავე ვაჟი და იმისი მეჯვარე ჩამოხტებიან ვისიმე ოჯახში, მასპინძელს გაიჩენენ და, რასაკვირველია, მასპინძელსაც შეატყობინებენ თავიანთს განზრახვას. მასპინძელი მეორე დღეს წაიყვანს სასოფლო სათამაშო ყრილობაზე ვაჟსა და მეჯვარეს; ვაჟი გასინჯავს ერთს ვისიმე ქალს და თუ მოეწონა, მასპინძელსაც ეტყვის. მაშინ მასპინძელი სთხოვს ვაჟს: მოდი, სტუმარო, ამ ქალთან ითამაშეო. ვაჟი და ქალი ითამაშებენ ერთად და თამაშობის შემდეგ ვაჟი თავისს მასპინძელს მიჰგზავნის შუაკაცად ქალის პატრონთან. მასპინძელიც მივა ქალის მამასთან ანუ ძმასთან, გამოუცხადებს, რომ ამა-და-ამ სოფლისა და ამა-და-ამ კაცის შვილი შენ ქალსა გთხოვს და რას იტყვი, გსურს თუ არა იმათთან დამოყვრებაო. ქალის პატრონს, თუ ჰკუაში მოუვიდა თავისის ქალის მთხოვნელი, ყაბულს გახდება და შუაკაცს სთხოვს: მოიყვანე ჩემს სახლში შენი სტუმარიო. შუაკაცი წაიყვანს ქალიანთსა ვაჟს მეჯვარითურთ, ქალის პატრონი კარგს დროებას გაატარებინებს, მოილაპარაკებენ და შემდეგ შუაკაცი სთხოვს ქალის პატრონს: ამა-და-ამ დროს (დაუნიშნავს დღეს) მოდი შენც, ნახე სასიძოს ცხოვრება და, თუ ჰკუაში მოგივიდეს, მოვრიგდით ურვათზედაო (ურვათი ის არის, რომ სასიძომ უნდა მისცეს ქალის პატრონს რამდენიმე თუმანი ფული — არა ნაკლებ ოცდა-ათის თუმნისა და ხარები და ძროხები). დანიშნულს დროს მოდის ქალის პატრონი ვაჟის ცხოვრების სანახავად, თან მოჰყავს შუაკაციც; ჰნახავს ვაჟის ცხოვრებას და თუ მოეწონა, დროს უნიშნავს ვაჟის პატრონს: მოდით და ურვათზედ მოვრიგდეთო. (ურვათზედ მორიგება ქალის ოჯახში უნდა მოხდეს ხოლმე). ამ ვადაზედაც უნდა წავიდეს სასიძოს უფროსი ძმა, თუ ჰყავს, და თუ არა, ახლო ნათესავი სახლის კაცი საცოლოს ოჯახში. თან მოჰყავს ერთი რომელიმე სხვა ნათესავი და შუაკაცი და აქ რიგდებიან ურვათზე ამ ნაირად: სულ უკანასკნელი ურვათი უნდა იყოს ოცდაათი თუმანი ფული (ზოგნი ორმოცდა-ათსა და სამოცს თუმანსაც იღებენ), ორი ხარი, ორი ძროხა და უეჭველად ერთი ცხენი ქალის დედის ძმისათვის.

მორიგების შემდეგ ერთს ანუ ორს თუმანს ბელგას მისცემს ქალის პატრონს და შემდეგ დროების გატარებისა, მეორე დღეს, ვაჟის ნათესავები შინვე ბრუნდებიან. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ბელგად თუნდა ერთი მანეთიც დასტოვონ ვაჟიანთ, რაკი მორიგდებიან, ვეღარავის შეუძლიან ქალი სხვაზედ გაათხოვოს, ასის თუმნის მძლეველი ურვათისაც რომ გამოუჩნდეს. თუ დანიშნული ვაჟი მოკვდა და ძმა დარჩა, ის მოიყვანს თავისის ძმის დანიშნულს. გავიდა სამი-ოთხი თთვე ბელგის მიცემის შემდეგ. ვაჟიანთ უნდა მიუტანონ ძღვენი ქალს: სამი-ოთხის თუმნის ფარჩეულობა ტანისამოსისათვის და სხვა წვრილმანი — ძაფი, ნემსი, საპონი, სათითე და სხვა-და-სხვა... ამასთან უნდა იყოს სამი გამომცხვარი დიდი ყველიანი პური, ე. ი. ხაჭა პურები, სამიც მათზედ მომცრო და ერთიც სულ დიდი, საკუთრად ქალის დედისათვის. ამასთან უნდა იყოს სამოც-ოთხმოცამდე კვერცხი, შინაური არაყი თავიანთივე გამოხდილი ექვს „ვედრამდე“ და ორი „ვედრაც“ გადაბრუნებული, ე. ი. ორ-ნახადი არაყი. ეს ძღვენი უნდა მოიტანოს სიძის ორმა დამ, თუ ჰყავს; და თუ დები არა ჰყავს, ახლო ნათესავის ორმა ქალმა და ერთმა კაცმა უნდა მოიტანოს. ძღვენის მოტანის მეორე დღეს ქალის პატრონი შეატყობინებს თავისს მეზობლებს ძღვნის მოტანას და მეზობლებიც მოგროვდებიან. ქალის პატრონი გამოიტანს და მეზობლებს უჩვენებს ქალისთვის მოტანილს ფარჩეულობასა და წვრილმანს და ეტყვის: აი ეს მოგვივიდა ახალის სიძისაგანაო. მეზობლები ერთ-ხმად ჰლოცავენ ვაჟსა და ქალს. შეკრებილი მეზობლები დასხდებიან, მოტანილს პურსა და კვერცხს გაინაწილებენ, არაყს დაასხამენ და რომელიც სუყველაზედ უფრო მოხუცია, წინად იმას მისცემენ ჭიქას, რომ დაილოცოს. ადგება ფეხზედ მოხუცი და მასთან ერთად სხვებიც, იხდიან ქუდს და სხვებიც ამასვე სჩადიან. მოხუცი ილოცება ასე: ღმერთო, დიდება შენდა! ღმერთო! უშენოდ საქმე არა გაკეთდებარა და შენ გევედრებით. ღმერთო, ბედნიერს დღეს დამოყვრება ვისთვისაც მიგინიჭებია, იმათი წილი ამ ორ ახლად დამოყვრებულ გვართაც მიანიჭე (იტყვის ვაჟისა და ქალის გვარს). ღმერთო! ტკბილად რომელი ქალი და ვაჟიც დაგიბერებია ქვეყანაზე, იმათ ამხანაგებად ეს ქალი და ვაჟიც გახადე (სახელებს იტყვის ქალ-ვაჟისას). შემდეგ ახსენებს წმინდა გიორგის, დედა ღვთის-მშობელს და სხვა წმინ-

ნაზის ეზოში მოსწავლეთ რიგზედ აიარ-ჩამოიარეს მათ უდიდებულესობათა წინაშე და ღირსეულ შეიქმნენ მოესმინათ იმპერატორის მიერ მადლობა.

გიმნაზიიდგან მათნი უდიდებულესობანი ჩაბძანდნენ ეტლში და თავისის უავგუსტოესის სახლობითურთ თორმეტის ნახევარზედ ინებეს მისვლა ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში; ინსტიტუტის დარბაზში მათ უდიდებულესობათ დაჰხვდნენ მოსწავლე ქალნი. ჰიმნს შემდეგ მოსწავლეთ როიალზე იგალობეს ლერმონტოვის ლექსი, მერე ოთხმა მოსწავლემ ოთხს როიალზედ დაუკრა ჩერნის კვარტეტი და ბოლოს ერთმა მოსწავლემ წაიკითხა კრილოვის „გუგული და მამალი". ამას შემდეგ მათთა უდიდებულესობათა ინახულეს ინსტიტუტის ეკკლესია და სამკურნალო. მოსწავლეთ ბედნიერება ჰქონდათ მიერთმევინათ ხელმწიფე იმპერატრიცისათვის ყვავილების კონა და ორი მოქარგული ბალიში. აქედგან მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სასახლეში, სადაც 12 საათზედ საუზმე იქმნა გამართული უწარჩინებულეს სამხედრო კაცთა თანადასწრებით.

სამის ნახევარზე დედათა ინსტიტუტის ახალ შენობის საძირკველის ჩაყრას დაესწრნენ მათნი უდიდებულესობანი. პირველადვე საქართველოს ეგზარხოსის პალადის მიერ უმაღლეს სასულიერო კაცთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისს შემდეგ პირველი ქვა საძირკვლისა დასდო ხელმწიფე იმპერატორმა, მეორე—იმპერატრიცამ, მესამე მემკვიდრე ცესარევიჩმა, მეოთხე—დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ, მეხუთე სამხედრო მინისტრმა ვანოვსკიმ, მეექვსე — მთავარ-მმართებელმა დონდუკოვ-კარსაკოვმა და მეშვიდე სტატს-სეკრეტარმა დურნოვომ. ამას შემდეგ მათნი უდიდებულესობანი წაბძანდნენ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში.

## ახალი ამბავი

*** მოგვყავს სია საპატიო ყარაულისა, რომელიც მიეგება ხელმწიფე იმპერატორს რკინის გზაზე და რომელიც ისე მშვენიერად იყო ჩაცმულ-დახურული: უფროსი ყარაულისა პოდპოლკოვნიკი თავადი ამილახვარი, თავადი მ. რ. ვაჩნაძე, თავადი ნ. გ. ჭავჭავაძე, თავადი ნ. გ. ხიმშიაშვილი, თავადი ი. ზ. ტუსიშვილი, თავადი ს. გ. ჭავჭავაძე, თავადი ე. დ. ქოქულოვი, თავადი ლ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თავადი ნ. ტ. ვაჩნაძე, თავადი ნ. დ. ერისთავი, თავადი გ. ნ. ბეგთაბეგოვი, თავადი ლ. მ. ციციშვილი, თავადი ი. გ. ციციშვილი, თავადი ი. მ. ჭავჭავაძე, თავადი ი. გ. ერისთავი, თავადი დ. ი. ბარათაშვილი, თავადი ი. ზ. სუმბათაშვილი, აზნაური გ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკი, თავადი ი. ი. აფხაზი, თავადი ი. ა. ანდრონიკაშვილი, თავადი რ. მ. ყარალაშვილი, თავადი ა. ა. ამირაჯიბი, თავადი ს. ა. ბებუთაშვილი, თავადი ზ. ბ. ფაველენიშვილი, თავადი ს. ა. ანდრონიკაშვილი, თავადი ნ. გ. ვაჩნაძე, თავადი ე. გ. თარხნიშვილი და თავადი კ. ა. ერისთავი.

*** 28 სექტემბერს რკინის გზის სადგურზე გუბერნიის მარშალმა თავადმა ივანე კონსტანტინეს ძემ ბაგრატიონ მუხრანსკიმ პურ-მარილი მიართვა ხელმწიფე იმპერატორს ვერცხლის სინით, რომელიც მშვენივრად იყო ნაკეთები ქართულის გემოვნებით. სინს ზედ ეწერა: „საქართველოს თავად-აზნაურთაგან, 1888 წ." შუაში ტფილისის გუბერნიის გერბი იყო მოსცვადებული. როცა ხელმწიფე იმპერატორს მარშალმა შესხმა მოახსენა გრძნობით სავსე სიტყვებით, მათმა უდიდებულესობამ გააბედნიერა თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი მით, რომ ხელი გაუწოდა, ჩამოართვა ხელი და უბრძანა: „გმადლობ, თავადო. დიდად მოხარული ვარ, რომ მომიხდა კავკასიაში მოსვლა". ხელმწიფე იმპერატრიცამაც გაუწოდა მარშალს თავისი ხელი, რომელზედაც თავადი ივ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი დიდის მოწიწებით ეამბორა.

ქალაქის თავმა ბ-ნმა მატინოვმა მიართვა პურ-მარილი ხელმწიფე იმპერატორს ვერცხლის სინით, რომელიც მშვენიერის ხელოვნებით იყო ნაკეთები სომხურის საეკკლესიო გემოვნებითა. ნახატები, რომლითაც მორთული იყო სინი, ანის ქალაქის ძველ ეკკლესიიდამ იყო გადმოღებული.

*** ამას წინად მისმა უდიდებულესობამ სპარსეთის შაჰმა უბოძა მის უწმინდესობას სრულიად სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოზს მაკარის უმაღლესი ორდენი — თავისი სურათი, მორთული და მოჭედილი ბრილიანტებით. ამ ორდენთან ერთად შაჰმა გაუგზავნა კათოლიკოზს ფირმანიცა, რომელიც დაბეჭდილია სომხურს გაზ. „არძაგანქ"-ში. აი რასა სწერს ამ ფირმანში შაჰი მაკარის:

„მემკვიდრეო იესოს სათნოებათაო, სწორო მთავარ-ანგელოზთაო, ყოვლად უსამღვდელოესო მაკარი, უმაღლესო მთავარო წმ. ეჩმიაძინისაო, მწყემსო და ხელ-მძღვანელო ყოვლა სომეხთა ქვეყნისათაო, ვევედრებით უფალსა ჰსუფევდეთ საუკუნოდ მფარველობასა ქვეშე უზენაესისა.

„ნიშნად ჩვენის მეფურის წყალობისა და მადლობისა უწმინდესობისა მიმართ თქვენისა, აღსავსესა სურვილითა მაღლითა სიკეთისა და წარმატებისათვის თქვენდა მონდობილ სომეხთა სამწყსოისა, კეთილ ვინებეთ გამორჩევაი თქვენი სამართლიანად და აღმოგიჩინეთ განსაკუთრებული წყალობა და სათნოობა ჩვენი.

ამისათვის გვიბოძებია თქვენთვის ბრილიანტებით მოჭედილი სურათიცა ჩვენი, ეს უმაღლესი ნიშანი გამორჩევისათვის საჴელმწიფოს დიდებულთა და წარჩინებულთა გვიბოძებია ხელითა ყოვლად-სამღვდელო გრიგოლისათა, რომელიც მწყსის სპარსეთისა და ინდოეთის სომეხთა და განთქმულია თავისის სათნო ცხოვრებით.

ესე ნიშანი გამორჩევისაი იყოსცა საბუთად ჩვენის ყურადღებისა და გულითადის თანაგრძნობისა თქვენდა უწმინდესობისა მიმართ. განგიმრავლოთცა მან მხნეობა სამერმისოსა მოღვაწეობასა შინა თქვენსა.

ნუ უგულებელს გვყოფთ ჩვენც ლოცვასა შინა თქვენსა; ხოლო ჩვენ ვევედრებოდით და აწცა ვევედრებით უფალსა ჰსუფევდეს უწმინდესობაი თქვენი შეწევნითა ღვთისათა სომეხთ ეკკლესიის მწყემს-მთავრად და ხელ-მძღვანელად. შევანი, 1305 წ. (ივნისი, 1888 წ.)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ახალ-სენაკი**, 23 სექტემბერი. ბევრჯელ თქმულა და ვინ იცის კიდევ რამდენჯერ ითქმება და რამდენხანს სათქმელად დარჩება, რომ საზოგადოდ ყველა ჩვენის დაბა-ქალაქის უმთავრესი ნაკლი ყველგან და ყოველთვის უსუფთაობაა, ისეთს ხარისხზე ასული უსუფთაობა, რომელსაც, თუ თქმისთვის უკაცრავად არ ვიქნები, ბინძურობა ეწოდება და რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, საშინელი მტერია ადამიანის ჯან-მრთელობისა. ეს საზოგადო სენი ახალ-სენაკსაც გაჩენია (არ ვიცი-კი, ღვთის წინაშე, თავის თავად გაუჩნდა, თუ სხვისგან მოედო) და ერთბაშად მთელს ტანზედ მოსდებია. აქაურთ მკვიდრთ, ვგონებ, ეს ცოტადა აქვსთ შემჩნეული, რადგანაც ძალა-უნებურად უკვე თვალიც შეუჩვევიათ და ცხვირიც ამ ყოვლად საჭირ-ბოროტო გარემოებისათვის. გარეშე კაცი-კი, რომელიც აქ რამდენსამე ხანს დაჰყოფს, სწორედ შეწუხდება და შეფიქრდება აქაურს წრეს გადასულს უსუფთაობაზე და უკმაყოფილებას გამოაცხადებს ამის გამო, რომ ახალი ჰქვიან მაშინ, როდესაც აქ ყველაფერს სიძველის ბეჭედი აზის და სიახლის ნიშან-წყალიც არ ეტყობა. ღრანტ-ღრუნტე, ოკრო-ბოკრო, უხეიროდ მორღვეული და მოსვრილი ქუჩები, ნეხვითა და ნაგვით სავსე თხრილები და ადგილ-მიდამო, — აი ახალ-სენაკის სურათი. ამ ნაირად ახალ-სენაკი ორფეხისათვის ვერაფერ სასიამოვნო ადგილს წარმოადგენს, მაგრამ სამაგიეროდ ღორებისათვის-კი სანატრელ-სანუკვარი რამ არის. ჰო, ბატებსაც შეუძლიანთ არ მოიწყინონ და უდარდელად გაატარონ დროება, თუ კი ღორებთან შუღლსა და უკმაყოფილებას მოიშლიან. ხუმრობა და ქეიფი ღმერთმა ნუ მოგიშალოთ, მაგრამ ერთი-კი მითხარით: სადა აქვს საზღვარი ჩვენს სიზარმაცეს, უთავ-ბოლობასა და არარაობას? როდის გავხდებით ნამდვილ ადამიანებად და როდის მოვეწყობით ადამიანურად? როდის გავისუფთავებთ როგორც კარ-მიდამოს, ისე სულსა და გულს ეხლანდელის სიბინძურისაგან? როდის დავისწავლით, რომ გაფრთხილება უნდა ჯანსა და სულსა.

უსუფთაობასთან ერთად მოწყენილობაც დიდი უნდა სჭირდეს ახალ-სენაკს. არავითარი გულისა და გონების გასართობი აქ არა არსებობსრა. თუმცა აქ სამაზრო ქალაქისათვის ყველა საჭირო დაწესებულებაა, თუმცა ინტელიგენტებიც არ არიან სანთლით საძებარნი, მაგრამ მაინც თავი ვერ დაუხწევიათ უფერულისა და უგემურის ცხოვრებისაგან. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ის უნდა იყოს, რომ აქაური ინტელიგენტები ერთმანეთს ძმურად ხელს არ აძლევენ, ერთის ძალით არ ჰმოქმედებენ, ერთს აზრსა და მიმართულებას არ ემსახურებიან. ამის გამო საზოგადო კავშირის ძაფები იმათ შორის გაწყვეტილია და, მაშასადამე, საზოგადო საქმის მეთაურობა ამათგან შეუძლებელია. ამ გვარს შემთხვევაში ინტელიგენციაა პასუხის-მგებელი, ის არის და არა ის მეტრაქტირე-მედუქნეები ახალ-სენაკისა, რომლებიც ძველისა და წამხდარის სანოვაგეთი უმასპინძლებენ სტუმრებს და იმასაც ორფასად ასაღებენ.

ახალ-სენაკში ამ ჟამად დიდი ჩურჩულ-კურკური და მითქმა-მოთქმაა სასულიერო სასწავლებლის აქედამ მარტვილში გადატანის შესახებ. ამბობენ, ამ ახლო ხანში სამღვდელოების კრება იქნება, რომელზედაც საქმე მარტვილის სასარგებლოდ გადაწყდება. თვით საქართველოს ეგზარხოსს თურმე მოსწონს მარტვილი და თავისის მხრით მსურველიც ბრძანებულა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავ-

---

დანებს (მოხუცის ლოცვის დროს დანარჩენი ხალხი ამბობს: ამინ, ღმერთო! მოხუცი ნალოცს სავსე ჭიქას გარდასცემს არყის დამსხმელს, რომელიც ფეხზე სდგას. არყის დამსხმელი ცოტას მოსვამს, შეავსებს ჭიქას და ისევ მოხუცს აძლევს. ამის შემდეგ სასმელ-საჭმელს მორჩებიან ხნიერი კაცები და წავლენ თავ-თავიანთს სახლებში. ამათ შემდეგ აქვე მოგროვდებიან ყველა გასათხოვარი ქალები და ყმაწვილი ბიჭები სათამაშოდ; ამათი თამაშობა გრძელდება მთელი დღე.

მეორე დღეს ძღვენის მომტანნიც მიდიან შინ. ძღვენის მომტანი ქალები უნდა დაასაჩუქროს ქალის პატრონმა და უნდა მისცეს არა ნაკლებ ექვსის მანეთისა; მოყოლილს კაცს უნდა უსაჩუქრონ ოსური ჩუსტ-მესტებით და სხვანი. ორის კვირის შემდეგ ამ ძღვენის მოტანისა გაუგზავნის ქალის პატრონი სიძეს კაცს, ამა-და-ამ დროსთვის (დაუნიშნავს ვადას) მოდი ჩემს სახლში შენის ტოლებითურთ და გენახეო. ამას ეტყვიან სიძის მოსვლას. დანიშნულის დროსათვის მიჰყავს სიძეს თავისი ტოლები ათი-თორმეტი ბიჭი და მიდის სიმამრიანთას. ამ დროს დიდი ხარჯი აქვს ქალის პატრონს; ექვსი ცხვარი, ოცი ქათამი და ათამდე ინდაური და ბატი უნდა დაიკლას და სხვა-და-სხვა საჭმელები უნდა დაამზადონ მშრალად და არა წვნით. სასმელი უნდა იყოს ლუდი და არაყი და ორ-ნახადი არაყი. სიძე თავისის ამხანაგებითურთ ქალის პატრონებისას უნდა დარჩეს ორი დღე-ღამე მაინც. ამ დროსა და სხვა დროსაც ბარის ოსეთში სიძე ვერა გზით ვერ დაჯდება გამოჩენით და ვერც დანიშნულს ქალს ჰნახავს წაყვანამდე. სიძე ან გარედ, ან სახლის კარის ბჭეში უნდა იდგეს ფეხზე და იქ სუფრაზე მსხდომთა უნდა მიაწოდონ თვითო ლუკმა. ამ მისვლის დროს სიძემ უნდა გამოიღოს ერთი თუმანი ფული მაინც და იმისმა ამხანაგებმა ზოგმა სამი და ზოგმა ორი. ეს შეკრებილი ფული უნდა გაჰყონ სიძის ამხანაგებმა და, როგორც გახვდებათ, შვიდი-რვა მანეთი უნდა ქალის დედას მიართვან. აქ იქნება კიდევ ერთი მეზობლის მოხუცებული დედაკაცი, სტუმრებისთვის პურის გამომცხობი, და ოთხი მანეთი ამ დედაკაცს უნდა მისცენ. თუ სიძის სიმამრის სახლში რძლები ჰყავსთ, ორი მანეთი ამათ უნდა მისცენ და ხუთ-ექვს მანეთამდე ფეხზე მდგომ ბიჭებს, რომლებიც უმცროსობას ეწევიან სტუმრების წინაშე და სხვა. ასე გაანაწილებენ მოსული სტუმრები ამ შეკრებილს ფულსა, ჩვეულებისამებრ, ყველას დაურიგებენ და მესამე დღეს სიძე და იმისი ამხანაგები წავლენ თავ-თავიანთს სახლში.

გადის კიდევ ორი-სამი თვე. ახლა შემოუთვლის სასიძოს უფროსი ქალის მამას ანუ ძმას: ამა-და-ამ დროს (დაუნიშნავს რომელსამე დღესასწაულს) მოდით და თქვენი ურვათი მიიღეთო. ამას ეტყვიან ურვათის აღებას. ქალის პატრონი დანიშნულს დროზე მიდის ურვათის ასაღებად, თან უნდა წაიყვანოს თხუთმეტი კაცი თავისი ნათესავი და მოკეთე. ამ დროს უფრო დიდი ხარჯი აქვს ვაჟს, ე. ი. სასიძოს სახლს; თორმეტი ცხვარი მაინც დაიკლის, ოც-და-ათამდე ქათამი და თხუთმეტამდე ინდაური და ბატი; სასმელი, ლუდი, არაყი და ორ ნახადი არაყი სხვაა. საღამოთი დასხდებიან ვახშმად, რომელიც თითქმის გათენებამდე გასტანს. სმა ძალდატანებითია. მეორე დღეს ისაუზმებენ ხოლმე (ეხლა ჩაიც შემოიღეს) და წავლენ საქონლის სანახავად. საქონელი ხარი და ძროხა რაცა ჰყავს ვაჟის პატრონს, ყველა უნდა აჩვენოს ურვათის ამღებლებს; საქონლის პატრონს ნება აქვს თავისს საქონელში ამოირჩიოს, რომელიც უნდა, ერთი ხარი და ერთი ძროხა, და დანარჩენ ხარ-ძროხაში ქალის პატრონმა უნდა აირჩიოს ორი ხარი, ორი ძროხა და ერთიც ცხენი ქალის დედის ძმისათვის; დანარჩენი ურვათი ფულად უნდა მიიღოს იმდენი, რამდენიც ზევით მოვიხსენიეთ. როცა ურვათს გაათავებენ, სადილად დასხდებიან. სადილი გასტანს ვახშმობამდე. ამ დროს სმაში ერთმანეთს აძალებენ ხოლმე ურვათის ამღებლები ამ ღამესაც ვაჟიანთას რჩებიან, მეორე დღეს ისაუზმებენ და შემდეგ წავლენ შინ.

როცა ურვათს აიღებენ, ნახევრის ან ერთის წლის შემდეგ ქალის პატრონი მოამზადებს ქალის მზითევსა (ორი პატარა ლეიბი, ორი საბანი, ორი ჭილობი, ორი ბალიში, ერთი შუათანა ტასტი სპილენძისა, ერთი თუნგი და ერთი შუათანა სკივრი) და ტანისამოსს და მაშინ გაუგზავნის კაცს სასიძოს უფროსს: თქვენი რძალი მზად არის და წაიყვანეთო (ქალის წაყვანას შეურჩევენ ან შემოდგომასა და ან აღებას). სიძე წავა ოც-და-ხუთ მაყრითურთ ცოლის მოსაყვანად. ამ დროს ქალის პატრონებს მომეტებული ხარჯი აქვსთ, მინამ სასიძოს ურვათის მიცემის დროს. მაყრებს ოთხ კაცზედ მთელი ცხვარი, ერთი ინდაური, ანუ ბატი უნდა ედვას უსათუოდ სუფრაზე და ორ კაცზედ ერთი ქათამი, ამასთან ფლავი და სხვანი. სასმელად იქნება იგივე ლუდი (ზოგგან ღვინოც შემოიღეს, ვინც კავკავზედ ახლო სცხოვრებს), არაყი და ორ-ნახადი არაყი. მაყრები მთელი ღამე სუფრიდგან არ ადგებიან გათენებამდე; ამ დროსაც ძალას ატანენ სმაში მაყრებს.

მეორე დღეს სადილად ამ ნაირივე სუფრა უნდა ჰქონდესთ მაყრებს, საღამომდე სუფრას უსხედან და საღამოთი წამოვლენ; მხოლოდ პატარძალი ცოტა უფრო ადრე უნდა წამოიყვანონ მეჯვარეებმა და მზითევიც ამათ უნდა წამოიღონ. წამოყვანის დროს მამის სახლიდგან მეჯვარეები შეიყვანენ სახლში, მამის კერაზე პატარძალსა და კერასთან დააყენებენ. აქ მოიტანენ სამს ხაჭა-პურს და არაყს; მეჯვარეს მისცემენ არყით სავსე ჭი-

ლებელი მარტვილში იქმნას გადატანილი. ესეც რომ არ იყოს, მარტვილის დასი სხვებზე დიდია, რადგანაც ლეჩხუმის სამღვდელოება, როგორც ამბობენ, უეჭველად მიემხრობა მარტვილისას, ეს უკანასკნელი გარემოება უეჭველს საბუთს იძლევა იმისას, რომ ამ შემთხვევაში ლელო მარტვილისაკენ გავა. მე-კი ჩემის მხრით იმას ვისურვებ, რომ საზოგადოდ ყველა სასწავლებელი და სასარგებლო დაწესებულება იქ გაშენებულიყოს, სადაც ხეირი და სიკეთე მოელისთ, სადაც ბევრსა და კარგს ნაყოფს გამოიღებენ. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შესახებ-კი ისა მაქვს სათქმელი, რომ ეს ერთი სასწავლებელი ამ ვეებერთელა მხარეში, სადაც უნდა გააშენონ, რიგიანად მაინც ვერ შეასრულებს თავისს საქმეს და მთელს მხარეს ვერ გაუძღვება, ვერ აუვა, რადგანაც ის ერთად-ერთია, ხოლო სამეგრელო და ლეჩხუმი-კი სამის მოზრდილ მაზრისაგან არის შემდგარი, ისე რომ თითოეული მათგანი, თუ მეტი არა, გურიაზე ნაკლები არაფრით არ არის. ხოლო რაიცა შეეხება ნივთიერს შეძლებას, ამ მხრით სამეგრელოს სამღვდელოება გაცილებით სჯობია გურიისას, სადაც დიდი ხანია გამართული აქვსთ საკუთარი სასულიერო სასწავლებელი, ამისმ შენახვა თუმცა ძვირად უჯდება გურიის' ერთს მუჭა და ღარიბს სამღვდელოებას, მაგრამ ამისდა მიუხედავად გურიის სამღვდელოება ყოველსავე ხარჯს უდრტვინველად ეწევა, რადგანაც ამ ბოლოს დროს, როგორც იყო, დარწმუნდა, რომ არა ეშველებით-რა, თუ შვილები უსწავლელ-უცოდინარნი დაურჩათ. ამ გვარად, თუ გურიის სამღვდელოებას შეუძლიან ერთი სასწავლებელი შეინახოს, სამეგრელოსა და ლეჩხუმს სრულიად არ გაუჭირდებათ ორი ან სამი ამისთანა სასწავლებელი გაიმართონ და ამით ბოლო მოუღონ ეხლანდელ სასწავლებლის აქა-იქ თრევას ჩაჩნების კარავსავით. თუ ამას იქმენ, რასაკვირველია, ერთმანეთში უსიამოვნებასა, შფოთსა და დავიდარაბასაც სამუდამოდ მოეჩვებიან.

დასასრულ, ბ-ნ ა—ას სამწუხაროდ უნდა მოვახსენოთ, რომ ახალ-სენაკის სასწავლებლებში ქართულის ენის გაკვეთილები აქვსთ და ამ ენის დედაენობას ისინი აქ უარს არა ჰყოფენ. მე მქონდა შემთხვევა მომესმინა ქართული ენის გაკვეთილი (სასულიერო სასწავლებელში), და მთელის გაკვეთილის განმავლობაში არც ერთს შეგირდს უაზროდ და უადგილოდ არა უპასუხნიარა. ისე მკვირცხლადა და მოსწრებულად იძლეოდნენ პასუხს, რომ გეგონებოდათ ამის მეტი ენა მათ არა თუ სალაპარაკოდ, არამედ გასაგონადაც არ უნდა გაეგონოსთო. მაგრამ ყველა ეს ა—ას ახირებას ხომ ვერაფერს უშველის და ერთხელ წამოროხვილს სირეგვნეს „კაცი სხვაა, კოჩი სხვააო“ ხომ ვერ გადაათქმევინებს.

დათიკო ვერმიშაშვილი

---

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო

## წერილები

### წერილი მეთოთხმეტე

რადამისტი*) იყო ძე ფარსმანისა, კაცი ახოვანი, უშიშარი და ფრიად გამბედავი. თვისი სიცოცხლე გმირულად გაატარა და გმირულადვე დაასრულა.

ქართლის ცხოვრება რადამისტს სრულიად არ ისსენიებს. მის მამაზედაც ჩვენი მატიანე ხუთიოდე სიტყვით ასრულებს მოთხრობას. ხოლო უფრო დაწვრილებითი ცნობები მათზე იპოვება სხვა ერთა მატიანეებში, უმეტესად-კი რომაელთ ისტორიკოსის ტაციტის Annales-ში.

ტაციტი სცხოვრებდა 56—117 წ. ქ. შ., მაშასადამე მისგან ნაამბობი ეკუთვნის პირველ საუკუნის მეორე ნახევარს და მეორე საუკუნის დასაწყისს. ტაციტი ამბობს, რომ რადამისტი ქართველი მეფის ფარსმანის შვილი იყოვო. ხოლო ამ სახელწოდებით ამ დრომდე საქართველოში ჰმეფობდა მხოლოდ ერთი ფარსმანი (72—87 წ.). იგი, ქართლისცხოვრების მოწმობით, იყო ძე ქართამისა. მცხეთაში 1867 წ. ნაპოვნი ქვა-კი, რომელზედაც ქორონიკონი უზის 75 წ. ქრ. შ., საქართველოს მეფეს, ფარსმანის ძეს, უწოდებს მიტრიდატს და აღიარებს მას მეფედ ქართველთა და სასურველ მეგობრად რომის ერისა. ქართლის ცხოვრება-კი გვიჩვენებს, რომ ფარსმანის შემდეგ საქართველოს ტახტზე ადგა და არა მიტრიდატი, არამედ აზორკი. მიუხედავად ამ გვარ უსწორ-მასწორობისა, ქრონიკისა და იმ დროინდელ ისტორიულ ამბების თანახმად, რადამისტი ჩვენ უნდა ჩავთვალოთ მეფე ფარსმან I-ის ძედ. ხსენებულ დროის ამბებში, რომელსაც ქართლის ცხოვრება გაკვრით იხსენიებს ან და სრულიად სდუმებს, დიდ მონაწილეობას იღებდნენ ფარსმანი და მისი ძე რადამისტი.

ტაციტის მოწმობით მაშინ საქართველოს სამეფო ფრიად ძლიერი იყო. ფარსმანის ძმა მიტრიდატი ჰმეფობდა სომხეთში. პართის მეფედ იყო არტაბანი. რომის ძლიერი ჯარი იდგა მცირე აზიაში. ქართველთ ჯარი, იმპერატორ ტიბერის ბრძანებით, შევიდა სომხეთში და დაიპყრო სატახტო ქალაქი არტაქსატი. პართის მეფემ მიაშველა თავისი ძმა ოროდი სომხეთის მეფეს და უბრძანა განედევნა მტერი. ფარსმანმა მოიწვია ალბანელნი და სარმატნი. პართ-სომეხნი დასცინოდენ ქართველებს. ფარსმანმა პასუხად თავის ჯარს ანიშნა ოქრო-ვერცხლით გაზმული მტრის ჯარი და უთხრა მხოლოდ შემდეგი: «ძმანო, აქ სიგმირეა, იქ-კი დავლა».

ქართველნი მიესივნენ მტრებს. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ერთმანერთს დაუშინეს ჯერ ისრები, მერმე ისრები გადაყარეს და ხმლებითა და ლახვრებით დაერივნენ ურთიერთს. აქ ცხენოსნები უტევენ ერთმანერთს, იქ ქვეითი ჯარი იბრძვის. ქართველნი თუმცა მრავალ ტყვეს იპყრობენ, სჭრიან, ჰკაფენ მტერს, მაგრამ გამარჯვება მაინც საეჭოდ მიაჩნიათ. ამ დროს მეფე ფარსმანი ვითა ისარი სისწრაფითა და ღომი უშიშრობითა თავისის ტაიჭით მიუტევს ოროდს და გაუპობს იმას ზურგს. ცხენი შორს გაიტაცებს იმას და ამიტომ სიკვდილს გადარჩება ოროდი. მტრის რაზმი ირევა, იშლება, განიბნევა და გაიქცევა. ომი შენივთდა, გამარჯვებულნი დარჩნენ ქართველნი. ბრძოლის ველი მოფენილი იყო ურიცხვ დაჭრილ-დახოცილებით.

სომხეთი ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიპყრო მიტრიდატმა რომაელების დახმარებით. პართის მეფე ცოლ-შვილითურთ მოჰკლა მისმა ძმამ გოტარზესმა.

მაგრამ შუღლი და აშლილობა ამით არ დასრულდა. იმავე წელიწადს ქართველებს ისევ მოუხდათ ომი სომხებთანა. ამას მიზეზი შეიქმნა რადამისტი. იგი, როგორც ვსთქვით, იყო ძლიერი, გმირი კაცი და ხალხს ძრიელ უყვარდა; მეზობელ ხალხებს კი ყველას აშინებდა და აფრთხობდა მისი ძლიერება. რადამისტი ხმა მაღლა გაიძახოდა, რომ მამა დამიბერდა და ამიტომ ჩვენი სამეფოც შემცირდა, დაპატარავდაო. ყველა ხალხები მიხვდენ, რა აზრიც ჰქონდა რადამისტსა. თვით მეფესაც შეეშინდა ტახტი არ წამართოსო. მან მოინდომა შვილის განშორება. რადამისტს შთააგონა, რომ სომხეთი მე მეკუთვნისო, ბიძაშენს მე დავუთმეო; ცხადად ნუ წავედავებითო; მოვისყლოთ დრო-ჟამი და ისე გამოვტაცოთ სამეფოვო. რადამისტი ვითომ წაეჩხუბა მამას, წავიდა მიტრიდატთან ვითარცა მეგობარი; ბიძამ დიდის სიყვარულით და ალერსით მიიღო, ვითარცა საკუთარი შვილი და დიდი საჩუქარი უძღვნა. რადამისტის განზრახვა არ იცოდა. რადამისტი აგონებდა და იბირებდა ბიძის ხელის-უფალთ და დიდებულებს. აქ რომ საქმეს აწყობს, რადამისტი ბრუნდება სამშობლოში და დიდის ჯარით მიდის სომხეთში. მიტრიდატს ეშინიან შებმისა, მიდის ქალაქ გარნეიში, სადაც იდგა რომაელთ ჯარი პოლლიონისა და კასპერის წინამძღოლობით. რადამისტი რამდენჯერმე იერიშით მივიდა ქალაქზე, მაგრამ რომაელების მაშინებისა და სამრო იარაღების წყალობით, უკუქცეულ იქმნა. მეფის ძემ ალყა შემოარტყა ქალაქსა. რადამისტმა ნახა-რა, რომ ძალით ვერას გაიტანს, მოისყიდა კასპერი, რომელიც განეშორა ქალაქსა და წავიდა ფარსმანთან დასაზავებლად. მაშინ პოლლიონმა მიტრიდატს მიჰმართა შემდეგის სიტყვებით: „ძმები მშვიდობიანად უნდა სცხოვრობდენო; ამას გარდა ფარსმანი უფროსიაო. აგრეთვე შენ გყავს ცოლად მისი ქალიო და რადამისტი შენი სიძეაო. ქართველნი ეხლა ძლიერნი არიანო. და არც უარს ჰყოფენ ზავსაო. ორგულობა და გაუტანლობა სომეხთა-კი დიდი ხანია ცნობილიაო. ამას გარდა ჩვენ ამ ქალაქის მეტი სიმაგრე აღარ დაგვშთენია და აღარც სურსათიო. შერიგდი და მით აიცილე სისხლის-ღვრაო“.

მიტრიდატი ეჭვის თვალით უყურებდა პოლლიონსა, რადგან ამან შეაწუხნა მის ერთ მხედარს, და აგვიანებდა ზავის თხოვნას. ამ დროს კასპერიც აჩქარებდა ფარსმანსა და ზავს სთხოვდა. რადამისტმა უფროე შეაჭირვა მიტრიდატი, რომელიც ბოლოს იძულებულ იქმნა შერიგება და დაზავება ეთხოვა. რადამისტი დასთანხმდა. მიტრიდატი განთავისუფლდა. რადამისტი დიდის სიხარულით მიეგება. ჩემი მამა ხარ, ჩემი სიმამრიო, და დიდი პატივი მიაგო. შეჰფიცა, რომ შენ წინააღმდეგ არ ვიხმარ არც საწამლავს, არც იარაღსო. წაიყვანა ჭალაკში, სადაც უნდა გაფიცულიყვნენ ღმერთების წინაშე. მაშინ მეფეთ გასაფიცებლად წესად ჰქონდათ მიღებული მარჯვენა ძლავების გადაჯვარედინება და ცერების თოკით მაგრა მოჭერა. სისხლი რომ შეგუბდებოდა, თითის წვერებს წაჰხვლეტავდნენ ხოლმე და ერთი მეორის თითიდგან რამდენსამე წვეთ სისხლს გამოსწოვდნენ. ესრეთი იყო ხოლმე აგრედ წოდებული საიდუმლო დაზავება—დამეგობრობისა. ამ გვარ დაზ ვების დროს მიტრიდატი ღალატით წააქციეს, შეჰკრეს და შეჰბოჭეს ჯაჭვებით და წაიყვანეს. ხალხი, რომელიც უგმაყოფილოდ იყო მიტრიდატზე, რადგან იგი სასტიკად ეპყრობოდათ, უგიყინებდა. მხოლოდ მისი ცოლშვილი მისდევდა უბედურ მეფესა და მაღლა ხმით ტიროდა. ფარსმანმა არ შეიბრალა არც თავისი სიძე და არც ასული. რადამისტმა აღასრულა თვისი ფიცი: მიტრიდატი და თვისი და გაართხო მიწაზედ და მიაყარა მრავალი ტანსაცმელი და ასრე სული ამოხადა. დედ-მამის დამტირებელი შვილები-კი დაახოცვინა.

რომაელთ არ მოეწონათ რადამისტის საქციელი. ფარსმანს აცნობეს, რომ თავისი შვილი გამოეყვანა სომხეთიდგან. მაგრამ პართის მეფემ აღარ დაუცადა ფარსმანის განკარგულებას. წამოვიდა რადამისტზე დიდი ჯარით. ქართველნი ვერ შეებრძოლნენ, დასტოვეს სომხეთი. პართელებმა დაიჭირეს სომხეთი, თუმცა სასტიკი ზამთრის გამო ისევ მალე დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. რადამისტი ისევ დაბრუნდა სომხეთში. სომეხნი გამოვიდნენ მოთმინებიდგან. იმის სასტიკობას ველარ გაუძლეს. შეიარაღებულნი

*) ტაციტის Annales-იდამ ცნობები მოყვანილია განის წიგნში Изв. древн. пис. о Кавказѣ. საიდგანაც მოგვყავს ცნობები მეფის ძე რადამისტზე.

---

ქას და მეჯვარე დაილოცება ასე: ღმერთო! დიდება შენდა, ღმერთო! ღმერთო! ბედნიერ დღეს თუ ვინმე წასულა თავისის მამის სახლიდგან ქმართან, იმისი ამხანაგი ეს ქალიც გახადე (იტყვის ქალის სახელს); ღმერთო, შენი მშვიდობა გაატანე ამ ქალს; ღმერთო, შენი მშვიდობა დასტოვე ამ სახლშიაც და სხვანი. შემდეგ მეჯვარე მარჯვენა ხელს მოაკიდებინებს ქალს საქვაბეს ანუ საკიდელზედ და ასე გამოამშვიდობებს თავისის მამის სახლს. ქალს რომ წამოიყვანენ მამის სახლიდგან, თან გამოატანენ ერთს ჩალისა, ანუ ხის ჯამს ერთმანეთში არეულს ერბოსა და თაფლს; ამ ჯამზედ უნდა იყოს გადაფარებული ერთი თეთრი მიტკალი. ბარის ოსების აზრით, ერბოს იმიტომ ატანენ, რომ ერბოსავით მსუქნად გაჰხდეს იმ სახლში, საცა მიდის; თაფლს იმიტომ, რომ თაფლსავით ტკბილად იცხოვროს და შეაბეროს თავისს ქმარს. თეთრს მიტკალს-კი იმიტომ ატანენ, რომ თმა მიტკალივით თეთრი გაუხდეთ, ისე შეაბერდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარი.

ქმრის სახლში რომ მივლენ, მეჯვარეები მიიყვანენ კერიანს სახლში, (საცა შუა ცეცხლი ანთია) პატარძალს და შესავალ კარებთან დააყენებენ; შემდეგ კარების საძირკველზე მარჯვენა ფეხს გადაადგმევინებენ და ეტყვიან: ბედნიერ დღეს ფეხი შემოდგი ამ სახლშიო. მარცხენა ფეხს აღარ გადაადგმევინებენ, მეჯვარეები ისევე უკან გამოაბრუნებენ პატარძალს და შეიყვანენ ცალკე ოთახში, რომელიც ახალს დაქორწინებულს სიძეს ეკუთვნის. ბარის ოსეთში თუნდაც რომ ათი ძმა სცხოვრებდეს ერთად, უსათუოდ ყველას ცალკე საკუთარი ოთახი უნდა ჰქონდეს საწოლად, ორი ცოლიანი ძმა ერთს ოთახში ვერ დაწვება. პირველ ღამეს სიძე არ შევა პატარძალთან, ის ღამე პატარძალთან ქალებმა უნდა გაათიონ. მეორე დღეს სალამოთი ვაჟის მოკეთეები შეიკრიბებიან და პატარძალს შეიყვანენ (ხამარაში) კერიანს სახლში, საცა შუა ცეცხლი ანთია. ამ ნაირად, სიძის დედა, თუ ჰყავს, თუ არა, სახლის რომელიმე უფროსი დედაკაცი და მეჯვარის დედა ერთს ადგილას სჯდებიან ზემო თაროსაკენ. აქ მეჯვარის ცოლი ანუ და და სხვა ქალები ხელს ჩაჰკიდებენ და წაიყვანენ პატარძალს ხამარაში, კერიანს სახლში. ამათ წინ მიუძღვებიან მეჯვარეები. მეჯვარეები კარების საძირკველზედ ფეხს როგორც რომ გადასდგამენ, ქუდს მოიხდიან და ერთი იმათგანი დაიძახებს: მშვიდობა მოდის, მშვიდობაა ამ სახლშიო. სახლში იმღერიან ყმაწვილი კაცები. ამ დროს პატარძალს რომ ერბო-თაფლი და მიტკალი მოჰყვა მამის სახლიდგან ჯამით, მეჯვარის ცოლს უჭირავს ხელში. მეჯვარე ჯამიდგან მიტკალს აიღებს, შამფურივით გამწვეტებულს ჯოხზედ გააკეთებს და აღმოსავლეთისკენ სახლის ერთს კუნჭულში შეურჭობს. შემდეგ პატარძალს მიიყვანენ მოხუც დედაკაცების წინ; პატარძალი ერბოსა და თაფლს ერთმანეთში არეულს აიღებს მარჯვენა სალოკი თითით და მივა პირველად სახლის უფროს მოხუცებულ დედაკაცთან, მარჯვენა მუხლით დაუჩოქებს, თავს დაუკრავს და თავისის თითით გაალოკებს ერბოსა და თაფლს; შემდეგ ამავე გვარად მეჯვარის დედასაც. ეხლა თვით მოხუცი დედაკაცებიც პატარძალს იმავე ერბოსა და თაფლს გაალოკებენ და ეტყვიან: ამ ერბოსავით მსუქანი ცხოვრებით, ამ თაფლივით ტკბილად და მიტკალივით თეთრის თმით შეგაბეროს შენს ქმარს ღმერთმაო. იქ მყოფნი ყველანი ამბობენ: „ამინ, ღმერთო!“ ამის მერე პატარძალს უკანვე გაიყვანენ ისევ საკუთარს ოთახში...

პატარძლის წაყვანის ცოტა ხნის შემდეგ მამის სახლიდგან მაყრები და სიძეც წავლენ. სიძე მივა თუ არა თავისს სახლში, ვერ გამოჩნდება, უნდა მეჯვარის სახლში იყოს დამალული დღე და ღამე; ჩუმად მიდის ცოლთან, დილით გაუთენებლივ ისევ მეჯვარის სახლში ბრუნდება ისე, რომ არავინ ნახოს ამ ნაირად უნდა მოიქცეს სიძე სამ-ოთხ კვირამდე და შემდეგ გამოვა საზოგადოებაში. პატარძალი-კი, ნახევარ წლამდე მაინც, შინ ისე უნდა იყოს, რომ სახლის უფროსმა კაცებმა ვერა ნახონ. ნახევარ წლის შემდეგ ჩვეულებრივს საქმეს ყველაფერს დააწყებინებენ პატარძალს.

ვაჟიანთ მაყრებისათვის დიდი ხარჯი არ იციან; ორს ცხვარზედ ანუ სამზედ მეტს არ დაჰკლავენ. მაყრები პირველს მისვლის ღამეს ვაჟიანთას ივახშმებენ და მეორე დღეს წავლენ თავ-თავიანთს სახლში. სხვა დიდი ხარჯი არა იციან-რა ვაჟიანთ პატარძლის მოყვანის დროს. პატარძლის მოყვანის მეორე დღეს მეჯვარეებმა უნდა იყიდონ მუსიკა, ეგრედ წოდებული გარმონი. აქ მოგროვდებიან მთელის სოფლის გასათხოვარი ქალები (ქალი რაკი გათხოვდება, ველარ ითამაშებს საზოგადოებაში) და ყმაწვილი ბიჭები. პირველსა და მეორე დღესაც განუწყვეტლივი თამაშობაა.

პატარძალს მზითევში მოჰყვება ყველა სახლის უფროს-უმცროსისათვის და ზოგიერთ მაყრებისათვისაც შესაფერი ფეშქაში. ერთის კვირის შემდეგ მეჯვარეები შეჰკრებენ ვაჟის მოკეთეებს, იმ მაყრებს, რომლებმაც ფეშქაში უნდა მიიღონ პატარძლისაგან; ამათთან გაალებენ მეჯვარეები პატარძლის სკივრს; მეჯვარეებმა წინათვე იციან ვისთვისაც რა ფეშქაშია გადადებული და თითონვე დაურიგებენ ყველას, ზოგს საჩოხე შალს და ქალებს საკაბეებს, ზოგს ჩუსტ-მესტებს, ზოგს ქისებს, ზოგს ყაბალახსა და სხვას... ყველა ამ ზემო მოხსენებულის ჩვეულების შემდეგ თავდება ბარის ოსეთში ქალის თხოვნა და წაყვანა...

ქართველი ოსეთში

შემოერტყნენ სასახლეს. რადამისტი თავის ცოლითურთ გაიქცა. ცხენები მიაქროლებდნენ ორთავეს. იმათ მისდევდნენ უკანიდამ. რადამისტის მეუღლე ზენობი ფეხ-მძიმედ იყო. ჯერ იტანდა ამდენს ტანჯვას და სიძნელეს. მერმე საშინელი ტკივილები აუტყდა. ილაჯი გაუწყდა ჭენებისაგან. ქმრის ჩამორჩენა არ უნდოდა, რადგან ძრიელ უყვარდა და არც უნდოდა მტერს ჩავარდნოდა ხელში. შეეხვეწა ქმარს დაეხსნა იგი ამდენ წვალებისაგან და მოეკლა თავის ხელით. რადამისტი დასთანხმდა. ჩამოხდა ცხენიდამ, ჩამოსვა ცოლიც. მიეხვია, ჩაეკონა, მიეალერსა და შემდეგ დასჩრა, აუწყა ხანჯლით და მდინარეში ჩააგდო, რომ იმისი გვამი მტერს არ ჩავარდნოდა. თითონ შეასკუპდა ცხენს, გადავარდა მდინარეში, გავიდა მშვიდობით და წავიდა საქართველოს. ზენობია ცოცხალ-მკვდარი იპოვეს მეცხვარეებმა, წყლული შეუკრეს, მოასულიერეს და ჩაიყვანეს სომხეთის სატახტო ქალაქ არტაქსატში, სადაც ახალი მეფე ტირიდატი ისე ეპყრობოდა, როგორც დედოფალს.

ამის შემდეგ რადამისტმა კიდევ რამდენიმეჯერ დაიპყრო სომხეთი, მაგრამ ბოლოს რომაელების ერთგულებისა გამო მამამ გაიმეტა თავისი შვილი და მოჰკლა რადამისტი.

ესომ

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** ირლანდია და იმისი საქმეა დღეს თავში საცემი სალისბერის სამინისტროსათვის. ამ საქმის გამო არ შეწყვეტილა და არც მალე შესწყდება ბრძოლა ორს დიდს დასს შორის, ლიბერალთა და კონსერვატორთა შუა. როგორც ვიცით, კონსერვატორებს მიემხრნენ ზოგიერთი ლიბერალებიცა, მაგალითად, გარტინგტონი, ჩემბერლენი და სხვანი, მაგრამ მაინც ლიბერალები თავისას არ იშლიან, თავ-გამოდებით ებრძვიან კონსერვატორებსაცა და თავიანთს მოღალატე ამხანაგებსაც, რომელთაც ახლა ლიბერალებს-უნიონისტებს უწოდებენ სახელად. ებრძვიან იმიტომ, რომ დარწმუნებულნი არიან, ადრე თუ გვიან გავიმარჯვებთ და ჩვენი სიმართლე დამტკიცდებაო. კონსერვატორებს გაუჭირდათ საქმე. ამას წინად კიდევ იმედი მიეცათ, მაგრამ ამ იმედმაც მალე უმტყუნა. ეს იმედი დევიტის ამბავი იყო. დევიტი ირლანდიელი მწერალია, ხალხს ძლიერ უყვარს და უფრო მეტსაც ითხოვს ირლანდიისათვის, ვიდრე ლიბერალები. სწორედ ეს დევიტი ჩამოაგდებს განხეთქილებას ლიბერალთა შორისაო, ჰფიქრობდნენ კონსერვატორები. პარნელის საქმე და მეთაურობა ჩაიფუშება და მაშინ ჩვენი საქმე კარგად წავაო. მაგრამ დევიტი არც ისე უჭკუო კაცი გამოდგა, რომ ირლანდიის მტრების გულისა გაეხადნა პარნელი და იმისი დასი. მართალია, დევიტი ამბობს, რომ პარნელი და იმისი დასი ძალიან ცოტას ითხოვენ, როცა ამბობენ, რომ ლალა შემცირდეს მხვნელ-მთესველ ირლანდიელებისათვისაო, უნდა ვითხოვოთ, რომ მიწა მიეცეს თვით მხვნელ-მთესველთ და ამაზე დაიხარჯოს ის ფული, რასაც დღეს ვხარჯავთ ლალის შემცირების დასაწყესებლადაო, მაგრამ დევიტი მაინც კარგად ჰგრძნობს, რომ ამ ცოტა რამის თხოვნაც დიდი საქმეა ირლანდიის ღარიბ ფერმერებისათვის. ამიტომ ამას წინად დევიტმა ერთს სადილზე დალია სადღეგრძელო პარნელისა და სთქვა, რომ ეს კაცია კვლავ მეთაური ირლანდიის დასისაო.

დევიტის ლაპარაკმა და მოღვაწეობამ ინგლისელი ლიბერალებიც გამოაფხიზლა. ესენი იძახიან ახლა, რომ უფრო მხნედ უნდა ვებრძოლოთ სალისბერის სამინისტროს და იმის ძალ-მომრეობის პოლიტიკას ირლანდიაში. ინგლისშიაც და შოტლანდიაშიაც ამ ჟამად მრავლად იმართება მიტინგები. ამ მიტინგებზედ სულ ირლანდიის სასარგებლოდ ლაპარაკობენ და ჰკიცხავენ სალისბერს და ბალფურის ადმინისტრაციას ირლანდიაში. თვით გლადსტონელები დადიან აქეთ-იქით და სიტყვას სიტყვაზედ წარმოსთქვამენ სალისბერის დასამცრობად. ამ ორატორთა შორის უფრო შესანიშნავნი არიან გარკური, რომლის მჭევრი ენა და მახვილ-გონიერი, გესლიანი ლაპარაკი სიცოცხლეს უშხამავს კონსერვატორებს; მერე მორლეი, კაცი დიდად საყვარელი ირლანდიაში და ინგლისის დემოკრატებს შორის; ძველი რადიკალი სტანსფელდი; ლორდი როზბერი, ლიბერალი ზედა-პალატისა, ერთგული მომხრე გლადსტონისა; ტრეველიანი, რომელიც ერთხანად გადუდგა გლადსტონს, მაგრამ მერე ისევ ლიბერალებს მიემხრო. ყველა ეს ორატორები დიდის თანაგრძნობითა და მხნეობით ექიდებიან ირლანდიის საქმეს, გული შესტკივათ ამ ქვეყნისათვის და დიდად მონდომებულნი არიან, რომ ამ ქვეყანას მიენიჭოს სრული თვით-მმართველობა და საკუთარი პარლამენტი.

---

## დეპეშა

28 სექტემბერი

**ვენა.** გაზეთს „საპოლიტიკო კორრესპონდენციას" სწერენ სტამბოლიდგან, რომ თუ ეინიცობაა ბოლგარია დაადგა მაკედონიაში ოსმალეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას, ოსმალეთი უსათუოდ ჯარებს გაჰგზავნის აღმოსავლეთს რუმელიაშიო.

**ლვოვი.** გაზეთ „Dziennuk Polsky"-ის ატყობინებენ, ვითომ ზოგიერთს პოლონეთის დიდკაცებს განზრახვა აქვსთ შეადგინონ ახალი დიდი საპარლამენტო დასი; ამ დასში უნდა იყვნენ პოლონელები და გერმანელებიო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 სექტემბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაურიგდნენ |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 53 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 151 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 16 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი | — „ | — „ | 264 |
| —მეორისა | — „ | — „ | 239 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

სექტემბერი 30 დღით არის.

**30 დღე პარასკევი.** წმ. მიხეილისა, წმ. გრიგოლ ეპისკ. და მასთან ერთად 37 ქალწულთა, მათ შორის რიფსიმესი და გაიანესი. კათოლ. წმ. ვიქტორისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—9, ჩადის 5—22. მთვარე 4 დღისაა.

ღვინობისთვე 31 დღით არის

**1 დღე შაბათი.** საფარველი წმ. ღვთის. მშობლისა. ამ დღეს დიდ-ძალი ხალხი იკრიბება მცხეთას, 20 ვერსზედ ტფილისიდგან. კათოლიკეთა ევგენიასი. სომეხ. თორმეტთა მოწაფეთა ქრისტესათა. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—დაარსდა ტფილისის სასულიერო სემინარია, 1874 წ.—უმაღლესად ნება-რთვა გამოვიდა, რომ ეჩმიაძინში დაარსდეს სასულიერო აკადემია, 1874 წ. — ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 5—22. მთვარე 8 დღისაა.

**2 დღე კვირა.** წამება არგვეთის თავადთა დავითისა და კონსტანტინესი, 730 წ. იმათი ძვლები ასვენია მოწამეთის მონასტერში, ქუთაისს ახლო. კათოლ. მფარველთა ანგელოზთა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 5—20. მთვარე 9 დღისაა.

**3 დღე ორშაბათი.** წამება დიონოსიისა და იოანესი. კათოლ. ავრელიასი. სომეხ. წმ. პატ. ფოკისა და მოციქ. ირინესი. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 5—18. მთვარე 10 დღისაა.

---

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |


## განცხადებანი

პარასკევს, 30 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სადგილმამულო ბანკის ზალაში მოხდება:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

წლიური კრება.

განიხილება: 1) წარსულის წლის ანგარიში, 2) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და 3) იქნება საზოგადოების ახალის წევრების ამორჩევა. (3—3)

ვაზას ბაღში

მდ. მტკვრის ნაპირზედ იმ სადღესასწაულო ჩირაღდნის სა[illegible]ებლადა და საცქერად, რომელსაც ქალაქი ჰმართავს მუშტაიდში, მე გავმართე

**ამფითეატრი**

ამფითეატრში მეოფნელმა უნდა გადაიხადოს 50 კაპიკიდგან 10 მანათამდე.

ა. მიქელაძე

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | ,, | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | ,, | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ბ. გვიცარიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | ,, |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |
| გაენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა | „ | 25 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | ,, | 20 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | ,, | 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა | „ | 30 |

---

გამოვიდა და ისყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში

ვალიკო გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული

**სახალხო კალენდარი**

1889 წლისა.

ფასი ორი შაური.

ამ მოკლეს ხანში გამოვა იმავე გუნიას დიდი და ვრცელი „საქართველოს კალენდარი".

10—2

---

**რვეულები ქართულის წერისათვის,**

გოგებაშვილის დედანთან სახმარებელი, დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი. მესამე ნომერიც მზადდება.

ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა, ხიდეკელისა და იზმიროვის მაღაზიებში და აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიაში; ქუთაისში—ჭილაძეებთან

ფასი რვეულისა ერთი შაური.

**ასპიდის ფიცრები** ქართულის წერისათვის ისყიდება იზმიროვისა, გრიქუროვისა და ხიდეკელის მაღაზიებში და „წერა-კითხვის" კანცელარიაში.

(6—4)

---

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც გირაო აქვს შეტანილი ხაზინაში.

**ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა**

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).


Доз. ценз. Тифлисъ, 29-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე